MES 2 23 0001218695

22/09/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08. 09. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:14 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
12. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
18. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
19. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1				I

	თედო სანიკიძე	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	
2	დავით წასიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
3	ნიკა გიგაური		ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	I
4	გიორგი ტომარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I
5	ნესტან ციციშვილი	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი	I
6	თენგიზ ფხალაძე		პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამის ხელმძღვანელი	I
7	მანანა გაბაშვილი		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე	I
8	ხათუნა ბერაია		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მენეჯერი	I
9	ანა ჩუთლაშვილი		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი	I
10	ლევან ბუსქანძე		პოლიტიკის მეცნიერებების პროგრამის კოორდინატორი	I
		შპს საქართველოს უნივერსიტეტი		
11	არჩილ ჯანგირაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
13	მედეა ჯანჯღავა		პროგრამის თანახელმძღვანელი	II
14	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III-IV-V
15	ხათუნა მხეიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	III-IV-V
16	თამარ ლომინაძე		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	III-IV-V
17	თინათინ კაიშაური		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III-IV-V
18	აკაკი გიგინეიშვილი		საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის უფროსი	III-IV-V
19	მიხეილ ჩიხრაძე		„საინჟინრო ფიზიკის" ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III-IV-V
20	ზვიად ღურწკაია		„სამედიცინო ინფორმატიკის და ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ მაგისტრატურის	III-IV-V

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
21	ირინე გოცირიძე		„ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III-IV-V
22	გოჩა თუთბერიძე	შპს ქუთაისის უნივერსიტეტი	რექტორი	VI
23	სოფიო ხუნდაძე		რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	VI
23	ზაზა ავალიანი		,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VI
24	თინათინ გოგნაძე-		დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი	VI
25	თათია ხარაბაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI
26	თამარ პერტაია		მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	VI
27	ანი კალანდია		ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	თორნიკე ხოშტარია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V
7	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მეწარმეობა და ინოვაციების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ინფორმატიკის და ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟიერიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ანა ჯავახიშვილმა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა გადასულიყო ბოლო საკითხად. გარდა ამისა, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის “კიბერუსაფრთხოების” ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში აკრედიტაციის საბჭოს მომავალ სხდომაზე განეხილათ, რადგან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2023 წლის 06 სექტემბრის N 1093605 წერილით შემოვიდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კორესპონდენცია, სადაც დაწესებულება აღნიშნავს, რომ ის პირები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ა(ა)იპ -

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასა და რეკომენდაციების შესრულებაზე, ვერ შეძლებდნენ 8 სექტემბრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დასწრებას. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მეწარმეობა და ინოვაციების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ინფორმატიკის და ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟიერიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
6. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20/01/2022, №45169
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6

9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები / Political sciences and civics - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0114, თბილისი, გორგასლის ქუჩა N101.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ივანა მაჩიტიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ფარგლებში დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია. მისი თქმით, დაწესებულებას დაწყებული აქვს რჩევებზე მუშაობა სისტემატურ რეჟიმში. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კვირების რაოდენობა, ფინალური გამოცდებისთვის გამოყოფილი საათები. აღნიშნული ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და დათვლადი. უნივერსიტეტს აღნიშნული რეკომენდაცია უმეტესწილად შესრულებული აქვს, თუმცა მისასალმებელი იქნება თუ დაწესებულება მას სრულად გაითვალისწინებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი ნიკა გიგაური მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. 1.5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში პროგრამის ყველა სილაბუსის

შესავალში დეტალურად არის მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კვირების რაოდენობა და ფინალური გამოცდებისთვის გამოყოფილი საათები. წინა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაცია იყო, რომ ყველა სილაბუსი ყოფილიყო თანაბარკვირიანი. მისი თქმით, დღეს აღნიშნულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 16 კვირის ფარგლებში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სტუდენტმა წინასწარ იცის ის თუ რომელი საგანი რამდენ საათიანი კვირაში და რამდენი დრო ეთმობა როგორც ლექციას, ისე სემინარს. ნიკა გიგაურის აზრით, უნივერსიტეტმა 1.5 რეკომენდაცია სრულად შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ 1.5 რეკომენდაციის შინაარსი შემდეგია: „პროგრამის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები“. შესაბამისად, რეკომენდებულია არა ზოგადი ჩანაწერის არსებობა სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შესახებ, არამედ მათი დაკონკრეტება. მას აინტერესებდა, რატომ არის მხოლოდ დასკვნაში წარმოდგენილ სილაბუსებში დაკონკრეტებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები. გარდა ამისა, არის თუ არა სხვა სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები დაკონკრეტებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით წასიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია განსხვავებულად აღიქვა. კერძოდ, უნივერსიტეტს უნდა მოეხდინა დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების გამიჯვნა, რათა ერთმანეთისგან ყოფილიყო დათვლადი და ადვილად აღქმადი სტუდენტისთვის. სილაბუსების შესავალ ნაწილში გამოყოფილია ცალკე ველი, სადაც მითითებულია ლექცია-სემინარებისთვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის გამოყოფილი საათები. შესაბამისად, უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა ივანა მაჩიტიძემ დაადასტურა, რომ სილაბუსებში დაკონკრეტებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, თუმცა სასურველი იქნება თუ ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდება საკონტაქტო ფარგლებში, რათა სტუდენტს არ შეექმნას საათების რაოდენობასთან დაკავშირებით პრობლემა.

ნიკა გიგაურმა აღნიშნა, რომ თუ საგანი მოიცავს 32 საკონტაქტო საათიანს, ეს იმას ნიშნავს, რომ 2 საათი მიმდინარეობს თითო კვირაზე შეხვედრა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:22
დასრულების დრო: 14:45

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტის 2^{11} ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის

"პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მეწარმეობა და ინოვაციების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეწარმეობა და ინოვაციები / Entrepreneurship and innovation
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 936235, 23/08/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანი.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი დავით სიხარულიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მეწარმეობა და ინოვაციების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვის საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. მისი თქმით, გაუმჯობესდა პროგრამის სტრუქტურა სასწავლო მიწოდების ჯაჭვის დამატებით. შემუშავდა გზამკვლელი, რომელშიაც დეტალურად გაიწერა ბერკლის უნივერსიტეტის ცენტრთან არსებული სტუდენტების გამგზავრებისა და სწავლების პროცესი. გარდა ამისა, დაემატა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი და გაუმჯობესდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და ადამიანური მართვის რესურსების სასწავლო კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტმა უნივერსიტეტში კონსტრუქციულ რეჟიმში ჩაიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ დაწესებულებას მიმართა, რომ ქართულ პროგრამაში მითითებულ პროგრამის დამტკიცების თარიღზე (01.01.1900) გაეკეთებინა განმარტება.
დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ პროგრამის ბაზაში ატვირთვის დროს პროგრამის დამტკიცების თარიღს შეიძლება ჰქონოდა ხარვეზი. შეუძლებელია პროგრამას 1900 წელს გაევლო აკრედიტაცია.
ქეთევან ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტები უმჯობესია იყოს „PDF“ და არა „Word“-ის ფაილში. გარდა ამისა, დოკუმენტები არის ხელმოუწერელი. მაგალითად, პროგრამას არ აწერს პროგრამის ხელმძღვანელი.
 არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამას ხელს აწერს არა პროგრამის ხელმძღვანელი, არამედ აკრედიტაციის შიდა სტრუქტურა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:49
დასრულების დრო: 14:53
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მეწარმეობა და ინოვაციების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის მე -2 და 25 - ე პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "მეწარმეობა და ინოვაციების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო ფიზიკა / Engineering Physics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 19 ივლისის № 55 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ფიზიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული 0719.1.1 საინჟინრო ფიზიკა Engineering Physics

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას გამზ. 77, თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ და მარინა მაისურაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ავთო თავხელიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაიცა რამდენიმე რჩევა. რეკომენდაციების გაცემის საფუძველი არ არსებობდა. მისი თქმით, ,,საინჟინრო ფიზიკის" მიმართულებით დაწესებულება ახორციელებს როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო პროგრამას. დღეს უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიები პროგრამების წარმატებით განხორციელების საწინდარია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს იულიხის კვლევით ცენტრთან, სადაც სტუდენტები ხშირად დადიან და ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ნაკისრი ვალდებულება კეთილსინდისიერად შეასრულა, რომელიც მოწონებული იქნა ექსპერტების მიერ.

სხდომაზა გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:56
დასრულების დრო: 14:58

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ინფორმატიკის და ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა / Biomedical Engineering and Medical Informatics
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება N 54
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე, არაკლასიფიცირებული

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას გამზ. 77, თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟიერიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერია / Biomedical Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 92, 04 აპრილი 2019 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინჟინერია და საინჟინრო საქმე, არაკლასიფიცირებული 0719
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას გამზ. 77, თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ და მარინა მაისურაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ხათუნა საგანელიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები არ გაცემულა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ინფორმატიკის და ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ. მისი თქმით, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უფრო გამართულად იყო შედგენილი, ვიდრე ქართულენოვანი პროგრამა. შესაბამისად, ამან გამოიწვია პრობლემები ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე. რეკომენდებულია, ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც ენობრივად გამართული, შესაბამისობაში მოვიდეს ქართულთან. მან აღნიშნა,რომ პროგრამის შედეგები ძალიან ზოგადი და ნათლად ჩამოუყალიბებელი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს და გარე მკითხველს გაუჭირდება შინაარსის გამოტანა. რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების რუკა მოვიდეს სისრულეში იმიტომ, რომ ნარატივში არსებულ მონაცემებს აცდენილია. ასევე, რეკომენდებულია სასწავლო ლიტერატურის განახლება. გარდა ამისა, ბიუჯეტი მოითხოვს უფრო კონკრეტიკას, ვინაიდან ზოგადად იყო ინფორმაცია მოწოდებული დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის მიმართ გაიცა რეკომენდაციები, რომელთა დაკავშირებითაც დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. ეს არის ისეთი მიმართულება, რომელიც თავიდან ბოლომდე არის და ზის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების კონტექსტში და ყველა გადაწყვეტილება ამ პროგრამებთან მიმართებით არის მიღებული, კერძოდ ამერიკული გამოცდილების შესწავლის შედეგად. მისი თქმით, პირველი შემთხვევაა საქართველოში, სადაც სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ სრული აკრედიტაცია მიიღო ყოველგვარი რეკომენდაციებისა და დამატებითი დროის გარეშე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტის დაფინანსებით დაწესებულებამ ადგილზე მოიწვია 3 ამერიკელი ექსპერტი, რომლებმაც პროგრამების მიმართ

გასცეს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. საქართველოში დიდი გამოწვევაა სათარჯიმნო მომსახურება. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება დიდ ყურადღებას უთმობს ისეთ მომხმარებელს, რომელიც კითხულობს ამ პროგრამას. შესაბამისად, საჭიროა რომ გამართული და სრულყოფილი იყოს პროგრამის თარგმანი. პროგრამის მიზნებში პრობლემა არ იკვეთება იმიტომ, რომ ორივე პროგრამაში იდენტურია. სამიზნე ნიშნულები სამივე პროგრამის საფეხურზე საუნივერსიტეტო დონეზე დამტკიცებულია. ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ზოგადი მარეგულირებელი დოკუმენტი სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით. დავით მახვილაძემ ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ასობით სილაბუსის მოდიფიცირება ხდება სასწავლო წლის დასასრულს. ბიუჯეტში ასისტენტთ პროფესორთან მიმართებით იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელთან დაკავშირებითაც კომენტარი გააკეთა არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ. ამ მიმართულებას გააჩნია როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რატომ ენიჭება ნაკლები უპირატესობა ქართულ საგანმანათლებლო პროგრამას უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამასთან შედარებით. დავით მახვილაძემ უპასუხა, რომ პროგრამების თარგმნა დიდი გამოწვევაა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში იმიტომ, რომ დარგის სპეციალისტების საკმარისი რაოდენობა არ არის, თუმცა აღნიშნულ პროგრამის დარგის ნაწილში შეცდომა არ იკვეთება. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საუკეთესო ქართული თარგმანით არ არის წარმოდგენილი „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

სხდომაზა გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:31
დასრულების დრო: 15:37

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ინფორმატიკის და ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის მე-5 და 25 - ე პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ინფორმატიკის და ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟიერიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესასრულებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-5 და 22-ე პუნქტების საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟიერიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნების ფორმულირება მოითხოვს ენობრივად დახვეწას და სტილისტურად გამართვას;
- პროგრამის შედეგები უნდა ჩამოყალიბდეს გარკვევით, მკაფიოდ და გამართულ ენაზე;
- დასაკორექტირებელია „სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“;

- რეკომენდირებულია სასწავლო ლიტერატურის განახლება;
- სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის მოითხოვს გადახედვას და შესაბამისობაში მოყვანას პროგრამის.

რჩევები:

- სასურველია მოწვეული აკადემიური პერსონალი ჩართვა სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში
- უსდ-მ იზრუნოს დარგობრივი მიმართულებით აკადემიური პერსონალის მოზიდვასა და მათ ჩართვაში სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის პროცესში;
- დოკუმენტებში (პროგრამის ბიუჯეტი) გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები, და სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალიდან ამოღებული იქნას ასისტენტის პოზიციის მქონე პერსონალი.

6. მეექვსე საკითხი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №476568, 11.05.2022, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაშია 26.04.2023 - დან
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი Medical Doctor (MD)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური ენა
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360 კრედიტი
14	განხორციელების ადგილი	წერეთლის ქ. №13, ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, პროგრამის მასალებს, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ჯილდა ჭეიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფარგლებში განხილული იქნა დაწესებულების მიერ მოწოდებული დანართები და ანგარიში. მისი თქმით, პროგრამას განესაზღვრა 10 რეკომენდაცია და 25 რჩევა. რეკომენდაციები ეხებოდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტის ქვეშ მოცემულ რეკომენდაციებს. პირველი სტანდარტის ქვეშ გაცემული ორი რეკომენდაცია შესრულებულია. რეკომენდებული იყო ბიოეთიკის საკითხებისა და კომუნიკაციის უნარების სწავლების გადატანა პროგრამის საწყის ეტაპზე. უნივერსიტეტმა მოახდინა პროგრამის მოდიფიცირება, რომლის დასამტკიცებლად წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება. რეკომენდებული იყო სამედიცინო ინფორმატიკის კურსის დამატება სავალდებულო კურსებში. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი როგორც ძველ დარგობრივ დოკუმენტში, ისე განახლებულ დარგობრივ დოკუმენტში აუცილებელ შესასწავლ სასწავლო კურსს წარმოადგენს. მეორე სტანდარტის ქვეშ გაცემული იყო ორი რეკომენდაცია. რეკომენდებული იყო არსებული გეგმების დიდი რაოდენობით გადახედვა სტუდენტების საავადმყოფოებში განთავსების შესახებ, რათა გათვალისწინებული იქნეს როგორც საავადმყოფოს ფიზიკური ტევადობა სტუდენტების რაოდენობის დასაკმაყოფილებლად, ასევე კლინიკური პერსონალის შესაძლებლობები – ასწავლონ სტუდენტებს სპეციალურ, აუდიტორიის ტიპის სივრცეებში, გადატვირთული კლინიკური ადგილებიდან მოშორებით. აღნიშნულმა რეკომენდაციამ გამოიწვია გარკვეული კითხვები და წარმოშვა აღნიშნული რეკომენდაცია. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, დაწესებულებას 17 კლინიკურ ბაზასთან აქვს მემორანდუმი გაფორმებული და დაწყებულია მათი მოდიფიცირება, თუმცა განახლებულ მემორანდუმებში ხაზგასმულია ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლინიკის მიერ მისაღები ჯგუფების რაოდენობის, სალექციო პრაქტიკული მუშობისათვის განკუთვნილი, ერთდროულად მისაღები ჯგუფების რაოდენობის, სალექციო/პრაქტიკული მუშაობისთვის განკუთვნილი აუდიტორიებისა და ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ არაა გამოკვეთილი კლინიკური პერსონალის შესაძლებლობები (იგულისხმება დატვირთვა როგორც კლინიკური, ასევე სამეცნიერო და პედაგოგიური). აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივაა შესრულებული, თუმცა რეკომენდაციაზე უნივერსიტეტს დაწყებული აქვს მუშაობა. დამატებით ინსტიტუციის მიერ შემუშავებულია რამდენიმე დოკუმენტი რომელიც არეგულირებს საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიცემის შესაძლებლობას. რეკომენდებული იყო PBL და CBL მეთოდოლოგიაში უფრო მეტი ტრენინგის ჩატარება, რათა ყველა ლექტორმა გაიგოს არა მხოლოდ პედაგოგიკა, რომელსაც ემყარება მეთოდი, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა მოახდინოს პედაგოგმა მისი გამოყენება. აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა გამოიკვეთა ვიზიტის დროს და ძალიან მოკლე დროში შეასრულა. რეკომენდებული იყო შეწყვეტა პედაგოგების OSCE-ს შემფასებლებად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებლობა და შეფასების დამოუკიდებლად განხორციელება. რეკომენდაცია სრულად შესრულებულია. ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ,,სიმულაციური ცენტრის საქმიანობის წესის“ მიხედვით, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის გამომცდელი არის: დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, მაგრამ არა იმ კონკრეტული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რომელშიც ტარდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა. რეკომენდებული იყო შესაბამისი კლინიკური პერსონალისთვის ინტენსიური ტრენინგის ჩატარება შეფასებაში იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტთა კლინიკური უნარების განვითარების ეფექტურად შეფასება მთელი პროგრამის განმავლობაში, განსაკუთრებით კი კლინიკურ ფაზაში, სადაც ვითარდება და იხვეწება მრავალი მაღალი დონის უნარი.

ჯილდა ჭეიშვილის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია სრულად შესრულებულია. ამრიგად, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში. მან აღნიშნა, რომ მეთხე

სტანდარტის ქვეშ გაიცა ოთხი რეკომენდაცია. რეკომენდებული იყო სამუშაო პროგრამა პერსონალის განვითარების ცხრილის შექმნასთან ერთად უზრუნველყოფილი იყოს კლინიკური სწავლების სტანდარტებისა და შეფასებების თანმიმდევრულობით, რომელსაც გახორციელებს მთელი პერსონალი, მათ შორის ის თანამშრომლებიც, რომლებიც სამუშაოს ასრულებენ კლინიკურ გარემოში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ მტკიცებულებები წარმოადგინა. შესაბამისად, რეკომენდაცია შეფასდა სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. რეკომენდებული იყო, რომ სტუდენტები დაკავშირებულნი უნდა იყვნენ კლინიკური სწავლების სფეროებთან, სადაც არის საკმარისი რაოდენობის საგნის სპეციალისტი პედაგოგი და ზედამხედველი, რომელსაც შეუძლია ინგლისურად კომუნიკაცია. მისი თქმით, ინგლისურენოვან პროგრამებში ინგლისური ენის სპეციალისტების რაოდენობა მცირეა. წინა დარგობრივ დოკუმენტში უფრო გამკაცრდა მოთხოვნილება ლექტორების მიმართ. იმისათვის, რომ პროგრამაზე პირმა დაიწყოს მუშობა აუცილებელია როგორც ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ისე სამუშაო გამოცდილება. რეკომენდებული იყო, რომ მდგრადი გეგმის მისაღწევად, რომელიც შეესაბამება საკმარისი კვალიფიციური (მათ შორის ინგლისური ენის მცოდნე) პერსონალის დასაქმებას სტუდენტების რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან ერთად, ქუთაისის უნივერსიტეტმა მეთოდოლოგიის პროცესში, რომელიც მას გააჩნია პერსონალის რაოდენობის გამოსათვლელად, უნდა შეიტანოს ინგლისური ენის ინდიკატორები. ეს პროცესი შესრულებულია და მტკიცებულების სახით უნივერსიტეტს გაზიარებული აქვს შესაბამისი დოკუმენტი. რეკომენდებული იყო, რომ წარმოდგენილ იქნას პროგრამის ბიუჯეტი პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ჯილდა ჭეიშვილის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ სრულად შეასრულა. ამრიგად, პირველი სრულად, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში განისაზღვრა მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა სოფიო ხუნდაძე მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის ეხებოდა კლინიკებში სტუდენტების გონივრული რაოდენობის განთავსების საკითხს. პროგრამაში მითითებულია ორის სემესტრის განმავლობაში მისაღების სტუდენტების საერთო რაოდენობა ჯამში. გარდა ამისა, მითითებულია ის რაოდენობა, რაც გამოდის კურაციულად განსახორციელებელი სასწავლო კურსებზე მისაღები სტუდენტების რაოდენობიდან. მისი თქმით, კურაციულად სასწავლო კურსების განხორციელება ითვალისწინებს იმას, რომ მოკლე სასწავლო კურსებია და ერთი და იგივე ლექტორთან შესაძლებელია ჯგუფში განსაზღვრული რაოდენობის სტუდენტების გაგზავნა სემესტრში არაერთხელ. უნივერსიტეტი კლინიკასთან შეიძლება თანამშრომლობდეს განმახორციელებელ პერსონალთან. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ერთდროულად ერთ ლექტორთან არცერთი კლინიკის შემთხვევაში არ იგზავნება თერთმეტზე მეტი სტუდენტი. 17 მემორანდუმიდან მხოლოდ 3 არ არის განახლებული იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ექსპერტს გაეგზავნა იმ ინფორმაციის მისაწოდებლად, რომ ახლა დარგობრივ დოკუმენტში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე დაწესებულებამ დაიწყო მუშაობა. ცნობილია, რომ განახლებული დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტით დამატებით განისაზღვრა კიდევ ერთი რესურსის, კერძოდ, პაციენტების რესურსის შეფასება. ეს სამი მემორანდუმი იყო ამ ინფორმაციის დასამტკიცებლად გაზიარებული ექსპერტისათვის, თუმცა ამ მემორანდუმებში არ იკითხება კლინიკური პერსონალის შესაძლებლობები. ძნელად წარმოსადგენია ხელშეკრულება კლინიკასთან გაფორმებული აჩვენებდეს ამა თუ იმ პერსონალის სემესტრულ ან წლიურ დატვირთვას. მან აღნიშნა, რომ კლინიკასთან დადებული ხელშეკრულებები განსაზღვრავს სტუდენტთა მიღების რაოდენობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანი კალანდიამ პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მათი დაქირავების და შერჩევის პროცედურები განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტის პერსონალის შერჩევის წესის მიხედვით, რომელიც იმ დროისთვის გულისხმობდა ყველა პერსონალის მხრიდან საჩვენებელი ლექციის წარმოდგენას ინგლისურ ენაზე, რომელიც ფასდებოდა განსაზღვრული კომისიის მიერ და ამ უკანასკნელის მიერვე დგინდებოდა ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურების საკითხი. შესაბამისად, პერსონალმა წარმატებით დაადასტურა ინგლისური ენის კომპეტენცია, თუმცა ინგლისური ენის კომპეტენციის განსაზღვრის გამკაცრების შემდეგ ყველა უნივერსიტეტს მიეცა ვადა ამის შესაცვლელად და დაწესებულება ცდილობს დარგობრივი მახასიათებლებით დადგენილი რომელიმე დოკუმენტი მაინც წარმოადგინოს დაინტერესებულმა პირმა. მისი თქმით, ამ ეტაპზე მობილიზებულია იმ პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც დარგობრივი მახასიათებლებით რეალურად ადასტურებენ ინგლისური ენის კომპეტენციას.
ექსპერტმა ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ მემორანდუმებში კერძოდ, დარგობრივ მახასიათებელში შევიდა ცვლილებები და ეს სამი მემორანდუმი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაციაში არ იყო ხაზგასმული და პრაქტიკულად წარმოუდგენელია ხელშეკრულებაში ჩაიდოს რომელიმე პერსონალის სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის საათები. ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გაზიარებულია 8 პირადი საქმე და გამოთხოვილი იქნა დამატებითი პირადი საქმეები, რომლებიც არ იყო მოწოდებული. უნივერსიტეტს 8 თვე აქვს დარჩენილი ვადა დარგობრივი მახასიათებლის შესრულებამდე. დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ხუნდაძემ ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 8 პირის პირადი საქმე წარმოდგენილი იყო სხვა რეკომენდაციის შესრულების მტკიცებულებად. დაწესებულების პოზიცია არის ის, რომ უნივერსიტეტმა პერსონალს ენის კომპეტენცია საჩვენებელი ლექციებით დაადასტურებინა დასაქმებამდე. ამჟამად 104 ადამიანს აქვს დადასტურებული ენის კომპეტენცია სერტიფიკატით ან სამი წლის გამოცდილების სწავლებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:09
დასრულების დრო: 16:13

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტის 2^{11} ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 08 სექტემბრის 16:14 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი